585/1975/2

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (411)

1975 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (411) აპრილი 1975 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

66. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დუშეთის რაიონის სახალხო მოსამართლის ა. დ. გათენაშვილის გაწვევის შესახებ.

67. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

68. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

69. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლების შესახებ დეპუტატის მოწმობის ჩანართი ფურცლის ნიმუშებისა და აღწერილობის თაობაზე.

70. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამკერდე ნიშნის აღწერილობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სამკერდე ნიშნის დებულების დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების და საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ბ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ფ. სმოლინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ლ. დ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ შ. ზ. ამისულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. დ. წვერავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ფ. ი. ხალვაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობები
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

მოხ. 66-67
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 დუშეთის რაიონის სახალხო მოსამართლის ა. დ. გათენაშვილის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები დუშეთის რაიონის სახალხო მოსამართლის ა. დ. გათენაშვილის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა დუშეთის რაიონის სახალხო მოსამართლის აკაკი დიმიტრის ძე გათენაშვილის გაწვევის შესახებ 1975 წლის 5 მაისიდან 15 მაისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 25 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ“, მიღებულ იქნეს ცნობად.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განხილვის შედეგები აცნობეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დააწესონ კონტროლი დეპუტატთა მიერ სესიაზე დაყენებული საკითხების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებისადმი და შედეგები აცნობონ დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. რესპუბლიკის მშრომელები განუხრელად ატარებენ რა ცხოვრებაში პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წ.) და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების დადგენილებებს თავდადებით იბრძვიან რათა წარმატებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დროულად შეუდგნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას; თავიანთ სხდომებზე განიხილეს და დასახეს სათანადო ღონისძიებანი არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. დებულებებით დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები, საოლქო საარჩევნო კომისიები, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიები, საარჩევნო უბნები. წინა არჩევნებთან შედარებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო-კომისიების შემადგენლობაში არჩეულია ქალი — 7,2 პროცენტით მეტი, ალკკ წევრი — 2,1 პროცენტით მეტი, ახალგაზრდები 30 წლის ასაკამდე — 2 პროცენტით მეტი და სხვა. შექმნილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების 49.261 საარჩევნო ოლქი, რაც 130-ით მეტია წინა არჩევნებთან შედარებით.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ძირითადად მოთავსებულია შესაფერის შენობებში, უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით და არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციით.

საარჩევნო კომისიების უმრავლესობას შედგენილი აქვს სამუშაო გეგმები და წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები. მოსახლეობაში დაწყებულია სააგიტაციო მუშაობა.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში ზოგიერთ რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომს გააჩნია ნაკლოვანებანი.

22 აპრილისათვის ხაშურის, ორჯონიკიძის, თეთრი წყაროს, საგარეჯოსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი, ისე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების შენობები სათანადოდ არ იყო მოწყობილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფორმებული; საოლქო და რაიონული საბჭოების საარჩევნო კომისიებისათვის გენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმები, არ ჩაუტარებიათ სხდომები და სხვა.

ქ. თბილისის კალინინის და საქარხნო, აბაშის, თეთრი წყაროსა და ზოგიერთ სხვა რაიონში დაშვებულია შეცდომები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა წამოყენებისა და დამტკიცების დროს, არაზუსტადაა ჩაწერილი კომისიის ზოგიერთი წევრის გვარი, სახელი, მამის სახელი, წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება და სხვა. მაგალითად, თეთრი წყაროს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად დაამტკიცა ა. კარსლიევა, როგორც საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციის მიერ წამოყენებული პირი, ფაქტიურად კი ის წამოაყენა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ. ამავე რაიონის ორბეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში დასახელებული არ არის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა წამომყენებელი ორგანიზაციები და სხვა.

აბაშის რაიონის ზანათის და სუჯუნის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობები დაამტკიცეს წამომყენებელი ორგანიზაციებიდან ოქმების მიღებამდე, რის გამოც შეცდომებია დაშვებული ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ქ. თბილისის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონებში იყო შემთხვევები, როცა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა წამოაყენეს საარჩევნო ოლქების შექმნამდე.

საგარეჯოს, აბაშის, ხაშურის, ორჯონიკიძის თეთრი წყაროს და სხვა რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჯერ კიდევ არ გაუშლიათ სათანადო მუშაობა არჩევნებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა შორის, არ ჩაუტარებიათ ლექცია-მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები და კონსულტაციები. არასაკმარისია ადგილობრივი ინტელიგენციის მონაწილეობა ამ დიდ პოლიტიკურ კამპანიაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს სსრ უმაღლესი და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით გადაჭრით გააუმჯობესონ მოსამზადებელი მუშაობა, რისთვისაც:

ა) მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებით დაწესებული ვადები არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების საქმეში;

ბ) უზრუნველყონ ყველა საარჩევნო უბნის მოწყობა არჩევნების დებულების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით; დროულად მოამარაგონ ისინი საუბნოსაარჩევნო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ყუთებით, ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებით, კაბინების მოსაწყობი საჭირო მასალებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონსტიტუციით, არჩევნების დებულებებით და სხვა საარჩევნო ლიტერატურით;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს. პერიოდულად ჩაატარონ კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარები, განუმარტონ მათი უფლება-მოვალეობანი, საარჩევნო დოკუმენტაციის, ამომრჩეველთა სიების სწორად შევსების წესი. ამასთან დაეხმარონ სამუშაო გეგმების შედგენასა და წევრთა შორის ფუნქციების განაწილებაში;

დ) ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, რეგულარულად მოაწყონ მოხსენებები, ლექციები, საუბრები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი; აგიტატორების, პრესისა და რადიოს საშუალებით გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობა;

ე) განახორციელონ ღონისძიებანი წინასაარჩევნო კრებების ორგანიზაციულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად. სათანადო კონტროლი დააწესონ ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვასა, განხილვასა და შესრულებაზე;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების ზუსტად, შედგენას, მიაღწიონ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქალაქემ, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება. დააზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომლებსაც არჩევნების დღისთვის უსრულდებათ 18 წელი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში. სათანადო მუშაობა ჩაატარონ ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის. არ დაუშვან არჩევნების საკითხებთან დაკავშირებული მშრომელთა მოთხოვნისა და განცხადებების დაგვიანებით განხილვა;

ზ) მიიღონ ზომები, რათა საარჩევნო კომისიებმა და საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად დაამზადონ საარჩევნო ბიულეტენები და დაწესებულ ვადებში ჩააბარონ საარჩევნო უბნებს;

თ) უზრუნველყონ არჩევნების დღეს ამომრჩეველთა გამოცხადების, ხმის მიცემის შედეგების და სხვა ცნობების დაწესებულ ვადებში წარმოდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

2. დაევალოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს შეამოწმონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას მეტი დახმარება გაუწიოს საბჭოებს არჩევნების ჩატარების საქმეში და სათანადო კონტროლი დააწესოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

69 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლების შესახებ დეპუტატის მოწმობის ჩანართი ფურცლის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების თაობაზე

„სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლების შესახებ დეპუტატის მოწმობის ჩანართი ფურცლის ნიმუშები და აღწერილობა (თან ერთვის).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებანი: 1938 წლის 25 ივლისისა — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სადეპუტატო ბილეთის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ და 1938 წლის 11 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ ფარგლებში რკინიგზის და წყლის გზებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების უფასო მგზავრობის შესახებ მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 29 აპრილი.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობის ნიმუშისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობა წარმოადგენს 95×65 მმ ზომის წიგნაკს მაგარი ყდით.

მოწმობის ყდის ზემო მარცხენა კუთხეში მოთავსებულია საქართველოს სსრ გერბის გამოსახულება და ყდის შუაშია ტექსტის სამი სტრიქონი ქართულ ენაზე:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭო“. გერბი და ტექსტი ამოტვიფრულია ოქროსფრად.

ყდის შიდა მხარის მარცხენა ზემო ნაწილში მოთავსებულია საქართველოს სსრ გერბის გამოსახულება (წითელი საღებავით) და მის ქვევითაა ტექსტი სამ სტრიქონად: მოწვევის ნომერი, სიტყვა — „მოწვევის“ (ქართულ ენაზე) და მოწვევის წელი — შესრულებული ლურჯი საღებავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობის ყდის მარჯვენა შიდა მხარეს მოთავსებულია დეპუტატის ფოტო-სურათი.

ყდის მარცხენა და მარჯვენა შიდა მხარეს, შესაბამისად ქართულ და რუსულ ენებზე, მოთავსებულია შემდეგი ტექსტი:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო
დეპუტატის მოწმობა № ————

ამხ. ———————————————————— არჩეულია საქართვე-
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ———————— № ————
სახელწოდება

საარჩევნო ოლქისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

ხელის მოწერა მოწმდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გერბიანი ბეჭდით.

ტექსტის პირველი სტრიქონი შესრულებულია წითელი საღებავით, შემდგომი — შავით.

ყდის ორივე შიდა მხარე შესრულებულია დამცავი ბადის ფერად ფონზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

დეპუტატის მოწმობის ჩანართი ფურცლისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლების შესახებ

დეპუტატის მოწმობის ჩანართი ფურცელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფასო მგზავრობის უფლების შესახებ მზადდება 90×60 მმ ზომის მკვრივი ქაღალდისაგან.

ჩანართი ფურცლის წინა მხარე ორფეროვანია.

წინა მხარის ზემო მარცხენა ნაწილში თეთრ ფონზე წითელი საღებავით შესრულებულია საქართველოს სსრ გერბის გამოსახულება, გერბის მარჯვნივ არის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, თითოეული ორ სტრიქონად: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა მხარის ქვედა ნაწილში, დამცავი ბადის ფერად ფონზე, მოთავსებულია შავი საღებავით შესრულებული ტექსტი ქართულ ენაზე:

„დეპუტატის მოწმობა № ———

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ——————————
გვარი,

—————————— საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობს
სახელი, მამის სახელი

უფასო მგზავრობის უფლებით ყველა რკინიგზის, საავტომობილო, წყლის, საჰაერო მოძრაობის შიდა გზებით და ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საქართველოს სსრ —————————— მოწვევის
მოწვევის ნომერი

უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილებათა გასვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
გერბიანი ბეჭედი პრეზიდიუმის მდივანი“

ჩანართი ფურცლის მეორე მხარეს შავი საღებავით თეთრ ფონზე სწერია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ცალკეული სახეობების ტრანსპორტით მგზავრობის წესების შემდეგი ტექსტი:

„მგზავრობის წესები“:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მიერ დეპუტატის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ რკინიგზის ვაგზლებისა და სადგურების, საზღვაო ვაგზლების (პორტების) და ნავსადგურების (ბილეთების როგორც საღღეღამისო, ისე წინასწარი გაყიდვის), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების ან აეროპორტების სალაროები მოვალენი არიან რიგგარეშე მისცენ ადგილი მატარებლის საძინებელ და რბილ ვაგონში, გემის I ან II კლასის კაიუტაში, თვითმფრინავის ან ვერტმფრენის სალონში. თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ბილეთები, თუ დეპუტატი სესიაზე მიემგზავრება, გაიცემა არაუგვიანეს ორი საათისა გაფრენამდე, ხოლო სხვა შემთხვევებში — არაუგვიანეს ერთი დღე-ღამისა.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი საქალაქთაშორისო, აგრეთვე საგარეუბნო ავტობუსებით, სადაც ადგილი მითითებულია ბილეთზე, მგზავრობს უფასო ბილეთით, რომელსაც რიგგარეშე აძლევენ ავტოვაგზლის, ავტოსადგურის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო სალაროებში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ყველა სახეობით (ტაქსის გარდა) და საგარეუბნო მატარებლებით მგზავრობს დეპუტატის მოწმობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს უფასოდ ატაროს ხელბარგი ცალკეული სახეობის ტრანსპორტზე მოქმედი ნორმების შესაბამისად".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის აღწერილობისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის დებულების დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ" სსრ კავშირის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შენარჩუნებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არსებული სამკერდე ნიშანი.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის აღწერილობა და დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის შესახებ (თან ერთვის).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის „29" აპრილი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნისა

1. სსრ კავშირის კანონის „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ" 35-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი, რომლითაც იგი სარგებლობს თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი დეპუტატს გადაეცემა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დეპუტატის უფლებამოსილებათა ცნობის შემდეგ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სამკერდე ნიშანი გადაეცემა დეპუტატის მოწმობასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის ტარების უფლება წყდება დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად ან აღნიშნულ უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის დროს.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში დეპუტატისათვის ახალი სამკერდე ნიშნის მიცემის საკითხი წყდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშნის ნიმუშისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანს აქვს გაშლილი დროშის ფორმა, მოარშიებულია ოქროთი, მისი ზომაა 16 X 30 მმ, გამოსახავს საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშას ორსტრიქონიანი წარწერით:

„სსსრ
უმაღლესი საბჭო“.

წარწერა შესრულებულია ოქროთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანს მეორე მხარეს აქვს ქინძისთავის სამაგრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი დამზადებულია ვერცხლისაგან და დაფარულია მინანქრით და ოქროთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:**

1. ლუარსაბ თეოფილეს ძე **გაბუნია** — შიდასამსახურის პოლკოვნიკი.
2. გივი მიხეილის ძე **კარანაძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის „29“ აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მოპოვებული წარმატებებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:

ბეჟან დავითის ძე **ბასილაშვილს** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ბრიგადირს.

ნიკოლოზ საბას ძე **ქარსლიევს** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ექსკავატორის მემანქანეს.

თავთიხ მახმუდის ძე **შალიმოვს** — „საქშახტმშენის“ ტრესტის „მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეს.

ვლადიმერ გიორგის ძე **შენგელიას** — „საქშახტმშენის“ ტრესტის მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

ალექსანდრე ივანეს ძე **გეჯაძეს** — კასპის რაიონის მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის საამქროს ბრიგადირს.

ნიკოლოზ გიორგის ძე **კავთიაშვილს** — რუსთავის ცემენტის ქარხნის ზეინკალთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიპ გორდეის ძე **როდიუკოვს** — „საქშახტმშენის“ ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის თბილისის მექანიზებული საამქროს ზეინკალს.

ლევან ზაქარიას ძე **შალუტაშვილს** — კასპის ცემენტის ქარხნის ამწის მემანქანეს.

გიორგი ილარიონის ძე **ძამაშვილს** — თბილისის კერამიკული კომბინატის მეწისქვილეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის:

ბორის მიხეილის ძე **გუევსკის** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მთავარ გეოლოგს.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის:

კალინე ვლადიმერის ძე **ბერიძეს** — ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს.

ზალიკო გრიგოლის ძე **გრიქუროვს** — ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს.

ხალიტ ისა ოღლი **ნამაზოვს** — მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 10 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების და საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაბრიკეტების კომპლექსის მშენებლობაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ანზორ ალექსანდრეს ძე **ბარბაქაძე** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ელექტროშემდუღებელი.

ვლადიმერ სერგოს ძე **გელაშვილი** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.

ბენია ალექსანდრეს ძე **გულიაშვილი** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ბინმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ დომენტის ძე **ზაქაშვილი** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ჭიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხუროო.

გრიგოლ მიხეილის ძე **კაპანაძე** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ზეინკალი.

მიტუშა პორფილეს ძე **კაპანაძე** — „საქმექანომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ზესტაფონის უბნის ზეინკალ-მემონტაჟე.

თამაზ გიორგის ძე **კახნიაშვილი** — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

გიორგი შალვას ძე **კუპრაძე** — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.

რაულ ბარნაბის ძე **ლაბაძე** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ბინმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მემოზაიკე.

გიორგი ალექსის ძე **ლედიაევი** — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.

კუკური ამბროსის ძე **ნიქაბაძე** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

საშიკო სერაპიონის ძე **სარშილაძე** — „ჭიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება:

მარიამ სერგოს ასულ **ბერიოზინას** — „საქმექანომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ამხ. ვ. ფ. სმოლინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გაგრის XVII პარტყრილობის სახელობის დასასვენებელი სახლის დირექტორი ამხ. ვიქტორ ფედოტეს ძე **სმოლინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 4 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 მწერალ ლ. დ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ლევან დავითის ძე **სანიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 7 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

უფლისა ხეჩოს ძე **აბუაშვილი** — „საქშახტმშენის“ ტრესტ „მადნეულმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

მურსალ ისა ოღლი **ალიევი** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მძღოლი.

ქიალიმ სამილ ოღლი **ალიევი** — მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

სულიკო ვასილის ძე **ათაბეგოვი** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხარატი.

ლეონტი პავლეს ძე **ბელი** — „საქმექანომონტაჟის“ ტრესტის თბილისის სპეცსარემონტო სამმართველოს ბრიგადირი.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბესტავაშვილი** — მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ელიზბარ დიმიტრის ძე **ბურდულაძე** — „საქმთავმონტაჟსპეცმშენის“ რუსთავის ავტოსატრანსპორტო და მექანიზაციის სამმართველოს მძღოლი.

ელბაი ისა ოღლი **გაჯიევი** — ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

სერგო ივანეს ძე **გრიაზნოვი** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ექსკავატორის მემანქანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი ალი ოღლი **გიულახმედოვი** — ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ვიქტორ გრიგოლის ძე **გურინი** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხარატი.

მიხეილ ზაქარიას ძე **დემურაშვილი** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს მღებავი.

ამრახ მუსტაფა ოღლი **ვალიევი** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს მუშა.

ოთარ შალვას ძე **იობიძე** — ინსტიტუტ „საქსახშახტპროექტის" განყოფილების უფროსი.

ანდრია ამბარცუმის ძე **კირაკოსიანი** — „მრეწვკავშირმონტაჟის" სპეციალიზებული სამმართველოს მონტიორი.

გურამ გიგოს ძე **ლაგაძიშვილი** — „თბომშენის" სპეცსამონტაჟო სამმართველოს მუშა.

არშალუის კონის ძე **მაკოევი** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი.

შოთა გიორგის ძე **მეტრეველი** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს დურგალი.

პაშა ისმაილ ოღლი **მირზოევი** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მებულდოზერე.

პაშა ისმაილ ოღლი **პაშაევი** — ბოლნისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

ლიდა მიხეილის ასული **საბო** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის განყოფილების უფროსი.

ნოდარ ზაქარიას ძე **სამხარაძე** — „საქელექტრომონტაჟის" ტრესტის რუსთავის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

გიორგი ნიკოლოზის ძე **სემიონოვი** — მარნეულის ქარხანა „საქარმადნეულის" ზეინკალი.

მარიეტა გიორგის ასული **ჩობანიანი** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

რომინ იასონის ძე **ძიძიგური** — „საქშახტმშენის" ტრესტის „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 პოეტ შ. ზ. ამისულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი შალვა ზაქარიას ძე **ამისულაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 მწერალ ს. დ. წვერავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი სიმონ დიმიტრის ძე **წვერავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 პოეტ ფ. ი. ხალვაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი ფრიდონ იშიღის ძე **ხალვაში** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 16 აპრილი.

ბ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 29 აპრილის სხდომაზე მოისმინა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. კუხალეიშვილისა და სამტრედიის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. მანჯგალაძის მოხსენებები ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ დასახელებული საბჭოების აღმასკომებმა, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ამავე საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მოთხოვნათა შესასრულებლად.

აღმასრულებელ კომიტეტებთან შექმნილი ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, შემუშავებული გეგმის შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად პერიოდულად ატარებენ რეიდებს, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, აქტივი, ქუჩის კომიტეტისა და სახალხო რაზმეულების წარმომადგენლები; სათანადო ზომებს იღებენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში ცხადდებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და არღვევენ წესრიგს ან ნასვამ მდგომარეობაში მართავენ ტრანსპორტს. აღრიცხვაზეა აყვანილი ქრონიკული ალკოჰოლიკები და ყველა ის პირი, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ალკოჰოლური სასმელებისადმი და მათ მიმართ ტარდება სათანადო სამედიცინო და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი.

ქ. ფოთში და სამტრედიის რაიონში აიკრძალა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა წვრილ საცალო სავაჭრო ქსელში, მუშათა სასადილოებში, ბუფეტებსა და სპეციალიზებულ მაღაზიებში. ასევე აიკრძალა 30 გრადუსის და მეტი სიმაგრის ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც მდებარეობენ საავადმყოფოების, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, სასწავლებლების და დაწესებულებების მახლობლად.

სამტრედიის რაიონის სადაბო და სასოფლო საბჭოები იღებენ ზომებს ხალხმრავალი ქორწილების, წვეულებებისა და ქელეხების, ფალსიფიცირებული სპირტიანი სასმელების დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ. ქ. ფოთში გაიხსნა გამოსაფხიზლებელი.

ალკოჰოლიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობაში სისტემატურად იკითხება ლექცია-მოხსენებები, ტარდება თეორიული კონფერენციები, თემატური საღამოები. ადგილობრივი პრესა და რადიოგადაცემები უკეთ აშუქებენ მასალებს ალკოჰოლიზმის მავნებლობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. მეტი ყურადღება ექცევა იმ პირთა გამოვლენას, რომლებიც აგრძელებენ ან ითრევენ არასრულწლოვანებს ალკოჰოლური სასმელების მიღებაში.

ამასთან ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ქ. ფოთსა და სამტრედიის რაიონში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული იყოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მთელი საზოგადოებრიობა. ამის შედეგია, რომ ლოთობის შემთხვევები და სიმთვრალეში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული იზრდება როგორც ქ. ფოთში, ისე სამტრედიის რაიონში.

აღმასრულებელი კომიტეტები, ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, საბჭოებთან და აღმასკომებთან არსებული სხვა შესაბამისი კომისიები იშვიათად ამოწმებენ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას ცალკეულ ორგანიზაციებში და თავიანთ სხდომებზე არ ისმენენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებს ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ. ნაკლებ ეფექტურია ბრძოლა შინ გამოხდილი სპირტიანი სასმელების დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და კვების ობიექტების ზოგიერთი მუშაკი უხეშად არღვევს მაგარი სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესებს. ადგილი აქვს არყისა და კონიაკის რეალიზაციის ზრდას.

წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, კანონის შესაბამისად, სრულად არ იყენებენ ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს, აგრეთვე ბრძანებულებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს (პრემიების მოხსნას, შეღავათიან საგზურზე უარს, საცხოვრებელი ბინის მიცემის რიგის გადაწევას და სხვა) იმ პირთა მიმართ, რომლებიც აცდენენ სამუშაოს, სისტემატურად ცხადდებიან არაფხიზელ მდგომარეობაში და უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას.

ჯერ კიდევ ხშირია ხალხმრავალი ქორწილები, წვეულებები და ქელეხები, რაც ხშირად საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევითა და დანაშაულით მთავრდება.

წარსულის ამ მავნე გადმონაშთის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში ჯერ კიდევ ნაკლებად არიან ჩაბმული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, აქტივი, სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ქ. ფოთის მილიციის განყოფილება არ ასრულებს ბრძანებულების მოთხოვნას და მოქალაქის სიმთვრალისათვის დაჯარიმების შესახებ არ ატყობინებს შესაბამის საწარმოს, დაწესებულების ან სასწავლებლის ხელმძღვანელებს. მიმდინარე წელს სიმთვრალისათვის დაჯარიმებული 22 პირიდან არც ერთის შესახებ არ ეცნობა შესაბამის ორგანიზაციას.

№ 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვლევის, საგამომძიებო და სასამართლო ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენას. სუსტია პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების ზედამხედველობა მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უმოკლეს დროში აღმოფხვრან დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების დადგენილებათა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესასრულებლად, რისთვისაც:

სისტემატურად გააანალიზონ ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა, მიაღწიონ მათი წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების დადგენასა და აღკვეთას, ამასთან მიიღონ ზომები საწარმოებში, ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებში ლოთობის შედეგად საზოგადოებრივი წესრიგის და შრომის დისციპლინის დარღვევათა აღმოსაფხვრელად. რეგულარულად მოისმინონ აღნიშნული საკითხები საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე. ფართოდ გაავრცელონ ცალკეული კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

უზრუნველყონ ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების მუშაობის გაუმჯობესება, ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის კოორდინაცია ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად;

მიაღწიონ მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობას შორის აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის მკვეთრ გარდატეხას. აამაღლონ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პრაქტიკაში დანერგონ სიმთვრალის გამო შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ ბრძანებულებით გათვალისწინებულ შეზღუდვათა გამოყენება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა დასვენების, გართობის უკეთ ორგანიზაციისა და თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენების საკითხებს;

გაუმჯობესონ არასრულწლოვანთა საქმეებისა და ადმინისტრაციული კომისიების, ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულების და აღმასკომებთან არსებული სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა ლოთობის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

დაიცვან სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესები; არ დაუშვან სპირტიანი სასმელების სარეალიზაციოდ სავაჭრო და კვების ობიექტების ქსელის დაუსაბუთებელი გაფართოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო ზომები მიიღონ სავაჭრო ობიექტების იმ ხელმძღვანელთა ძიმართ, რომლებიც ეწევიან სპირტიანი სასამელების რეალიზაციას საწარმოებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, რკინიგზასა და ავტოსადგურებთან, მშრომელთა მასობრივი გართობისა და დასვენების ადგილებში.

დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს წესრიგი დაამყარონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის საქმეში. აღკვეთონ სპირტიანი სასმელების გაყიდვა აკრძალულ საათებსა და ადგილებში, აგრეთვე სასმელების მიყიდვა არასრულწლოვანებისა და მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირთათვის. ამასთან კვების ობიექტებში (მათ შორის რესტორნებშიც) გააფართოონ ლუდისა და უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაცია მიეცათ მეტი მუშაობა გასწიონ ქრონიკული ალკოჰოლიკების გამოსავლენად და სამკურნალო დაწესებულებებში მოსათავსებლად, მიიღონ ყველა ზომა მათი მკურნალობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს დაევალათ მიაღწიონ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხარისხის მკვეთრ ამაღლებას, დადგენილი ვადების ზუსტი დაცვით.

საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მიეცა გააუმჯობესოს ზედამხედველობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისადმი.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 183 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	. . . . .	2
„ რუსთავიდან	. . . . .	3
„ ტყიბულიდან	. . . . .	4
„ ფოთიდან	. . . . .	6
ადიგენის	რაიონიდან	2
ახალქალაქის	„	19
ახმეტის	„	10
ბოლნისის	„	16
დუშეთის	„	5
თელავის	„	1
თერჯოლის	„	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის	რაიონიდან	12
ლანჩხუთის	„	2
მარნეულის	„	26
მახარაძის	„	9
მესტიის	„	7
მცხეთის	„	6
ორჯონიკიძის	„	3
ქარელის	„	11
ყვარლის	„	5
ცაგერის	„	4
წულუკიძის	„	6
წყალტუბოს	„	5
ჩხოროწყუს	„	8
ხობის	„	9

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დააჯილდოვა 992 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის ლენინის	რაიონიდან	113
ქ. თბილისის ორჯონიკიძის	„	95
ქ. თბილისის 26 კომისრის	„	133
ქ. თბილისის საქარხნოს	„	36
ქ. ზუგდიდიდან		51
ქ. ქუთაისიდან		109
ქ. რუსთავიდან		13
ახალქალაქის	რაიონიდან	27
ბოლნისის	„	45
გარდაბნის	„	45
გურჯაანის	„	140
თეთრი წყაროს	„	16
თელავის	„	61
თიანეთის	„	19
დუშეთის	„	17
მცხეთის	„	5
წალენჯიხის	„	51
ხაშურის	„	16

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1975 წლის 9 აპრილს მიღებულია ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

(გამოქვეყნებულია ადგილობრივ პრესაში)

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 23 აპრილის ბრძანებულებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

ახმეტის რაიონში ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ქვემო ალვანი და ბაბანეური და შეიქმნა ქვემო ალვანის სასოფლო საბჭო, ცენტრით ქვემო ალვანში.

ქვემო ალვანის და ბაბანეურის სოფლებიდან არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი ქვემო ალვანის სასოფლო საბჭოში.